ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერი 44 წელია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 180 (1816) ○ სამშაბათი, 7 ნოემბერი, 1961 წ. ○ გამოდის მე-18 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

„დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის მსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერას“.

ამ სიტყვებით იხსნება ჩვენი ეპოქის დიადი დოკუმენტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელიც მიიღო მშობლიური პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ, რომელიც ჩვენს ქვეყანას, მთელს კაცობრიობას წარუძღვება წინ, ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ამ სიტყვებში ასახულია იმ ისტორიული მომენტის ეპოქალური მნიშვნელობა, რომელსაც დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დღესასწაულობს.

7 ნოემბერი — კაცობრიობის ისტორიის ახალი გარიჟრაჟის დღეა, რომელმაც ქვეყნად დაამკვიდრა მშრომელთა პირველი სახელმწიფო, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი სოციალისტური საზოგადოება — სტიმული ყველა პატიოსანი, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისა დიადი მომავლისაკენ მსვლელობის გზაზე.

44 წელი გავიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. დიადი ისტორიული მისიის შესასრულებლად აღმდგარი ხალხების გმირული ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის 44 წელი, რომლებმაც ძლევამოსილად გამოგვატარეს სამოქალაქო ომი, უცხოეთის ინტერვენციასთან ბრძოლა, დიდი სოციალისტური გარდაქმნების პერიოდი ქალაქად და სოფლად, სამამულო ომის მკაცრი და სუსხიანი გამოცდა, აღდგენისა და აღორძინების ეტაპი, კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაზე გადასვლა.

ყველა ეს გამარჯვება საბჭოთა ხალხებმა მოიპოვეს ლენინის დიადი დროშის ქვეშ, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული, ნაცადი ხელმძღვანელობით, პარტიისა, რომლის უმაღლესი მიზანია ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომლის ლოზუნგიც არის: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

თავის მორიგ საოქტომბრო დღესასწაულს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ეგებება ჯერარნახული პოლიტიკური აღმავლობის პერიოდში, ჯერარნახული გამარჯვებების შარავანდედით მოსილი. უდიდესი მოვლენა ამ პერიოდში იყო ახლახანს დამთავრებული სკკპ პარტიის XXII ყრილობა, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, რომელიც ისტორიულ ნიშანსვეტად, მოკაშკაშე შუქურად აღიმართა კომუნიზმის ფართო და გაშლილი მშენებლობის გზაზე, რომელიც მილიონობით და მილიონობით ადამიანებს აიარაღებს შემოქმედებითი მარქსიზმის ყოვლისმძლე იდეებით, აიარაღებს ურყევი რწმენით მომავლის მიმართ.

ეს რწმენა, მშობლიური კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობა აღაფრთოვანებდა საბჭოთა ხალხებს განვლილ პერიოდშიც, როცა ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, კომუნიზმისაკენ, როცა კიდევ უფრო დიდი გამარჯვებები მოიპოვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, კულტურასა და სპორტში, როცა კიდევ უფრო მკვეთრად ამაღლდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის დონე.

ჩვენი ქვეყანა სულ უფრო მტკიცე ნაბიჯებით შედის დიადი მომავლის კარიბჭეში, უკვე პრაქტიკულად ახორციელებს კომუნიზმის დიდებული შენობის აგებას, ქმნის მატერიალურ ბაზას საზოგადოებისათვის, რომლის დროშასაც აწერია: „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“.

და როგორც შარავანდედი ამ დიდებული საქმეებისა, როგორც გვირგვინი ამ უბადლო, ბრწყინვალე გამარჯვებებისა, სწორედ განვლილ პერიოდში გახსნა თავისი მძლავრი ხელით გმირმა საბჭოთა ხალხმა კოსმოსის კარი და მსოფლიოს წარმოუდგინა გათავისუფლებული ხალხის გენიის უსაზღვრო შესაძლებლობანი.

„კომუნიზმი ასრულებს ისტორიულ მისიას — იხსნას ყველა ადამიანი სოციალური უთანასწორობისაგან, ყველა ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, ომის საშინელებათაგან — და ამყვიდრებს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას“ — პარტიის ახალი პროგრამის ეს მგზნებარე სიტყვები მიუძღვის წინ ოქტომბრის დიადი შუქით გზაგანათებულ ხალხებს, რომლებიც დღეს, სადღესასწაულო კოლონებიდან, დიდებას უძღვნიან თავიანთ ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელს — დიად კომუნისტურ პარტიას!

ლენინის დროშით, წინ — კომუნიზმისაკენ!

ლენინის დროშით!

საზეიმო სხდომა თბილისში, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავისადმი

5 ნოემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, რომელიც სადღესასწაულოდ იყო მორთული, შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. აქ გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ტ. სტუჩენკო, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ი. ფრუიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ი. სარიშვილი, პროფესორი პ. ბუაჩიძე, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ლ. დავითაძე, ჯარისკაცთა, სერჟანტთა და ოფიცერთა სახელით შეკრებილთ მიესალმა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი პ. გოლოვაჩევი და სხვები.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მხურვალე ტაშით ხვდებიან სიტყვებს, რომლებიც გაისმა დიდი ოქტომბრის 44-ე წლისთავის, გმირი საბჭოთა ხალხის, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

მათი საოქტომბრო გამარჯვება

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლში შეკრებილებმა კომბინატის ფოიეს სამართლიანად უწოდეს „ფიზკულტურელი“, რადგან ამ დარბაზის კედლები დამშვენებული იყო მათი მიღწევების ამსახველი დიაგრამებით, ვიმპელებით, თასებით, ფოტოსურათებით. ისინი ნათლად მოუთხრობდნენ მნახველებს იმაზე, თუ რას შეიძლება მიაღწიოს კოლექტივმა.

თბილისელი მეტრიკოტაჟე - ფიზკულტურელები სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას შრომის ფრონტზე და სპორტშიც — გაანადღეს ყველა ვალდებულებანი.

მიმდინარე წელს საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით საწარმოო კოლექტივებში მასობრივ - ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ამ სისტემის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, შეიქმნა დარგობრივი ფიზკულტურის საბჭო. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება თითქმის ყველა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კოლექტივი თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, გორიდან, თელავიდან და სხვა ქალაქებიდან. გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო სპეციალური ჯილდოები, რამაც გაზარდა კოლექტივების დაინტერესებაც.

დადგა სოცშეჯიბრების შეჯამების დღეც. სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და მიიღო საბოლოო დადგენილებანი. სწორედ ყიფრის გადაწყვეტილებათა გასაცნობად იყვნენ შეკრებილნი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ამ დღეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლში და ეს ადგილი, როგორც შემდეგ გამოირკვა, შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული.

ხალამზე სოცშეჯიბრების შედეგების შესახებ სიტყვით გამოვიდა აღნიშნული პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი და დარგობრივი ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე თ. სანკოევა, რომელმაც საფეიქრო მრეწველობის დარგის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურულ ორგანიზაციას (დირექტორი გ. შარიქაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი გ. დვალი) გადაცა საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო.

ასეთივე ჯილდო გადაეცა მსუბუქი მრეწველობის სისტემაში გამარჯვებულ № 1 ფეხსაცმელების ფაბრიკის კოლექტივს (დირექტორი გ. მღებრიშვილი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ვ. გედევანიშვილი). მეორე ადგილები მოიპოვეს: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატისა და ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა (დაჯილდოვდნენ ვიმპელებით). მესამე ადგილები მიეკუთვნათ გორის ბამბეულის კომბინატისა და თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებს.

სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე ადნიშნული კოლექტივების დირექტორები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, ადგილობრივ თვალსაჩინო მუშაკები, ფიზკულტურის ინსტრუქტორები, აქტივისტები, რომლებმაც თავიანთი აქტიური მუშაობით ხელი შეუწყვეს კოლექტივების წარმატებას.

საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ეს წამოწყება მისაბაძია და კარგი იქნებოდა თუ ამგვარ ღონისძიებას გაატარებდნენ სხვა რესპუბლიკური კომიტეტებიც.

გუშინ ტურნირზე

△ წუხელ ტელეფონით გვაცნობეს: ნ. გაფრინდაშვილმა კვლავ გაიმარჯვა!

△ ნონა პრაქტიკას გადის... ინგლისურ ენაში.

△ ბოლესლავსკის „დანაშაული“.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ (მონაწილენი)

	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ნ. ᲯᲣᲜᲓᲣᲜᲘᲜᲘ (მონღოლეთი)	1	X	0	1/2	0	1/2	1/2	1/2										
ა. ᲠᲘᲜᲓᲘᲠᲘ (გფრ)	2	1	X	0	0	1/2	*											0
ვ. ᲜᲔᲓᲔᲚᲙᲝᲕᲘᲩᲘ (იუგოსლავია)	3	1/2	1	X	1/2	1/2											0	1
ე. ᲞᲝᲚᲘᲫᲠᲝᲜᲘᲜᲐᲓᲔ (რუმინეთი)	4	1	1	1/2	X											1/2	0	0
გ. ᲒᲠᲔᲡᲚᲔᲠᲘ (აშშ)	5	1/2	1/2	1/2		X									1	1/2	0	0
შ. ᲨᲝᲚᲓᲔ ᲓᲔ ᲡᲘᲚᲐᲜᲘ (საფრ.)	6	1/2	*				X							1/2	0	1/2	1/2	0
გ. ᲙᲝᲜᲐᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲐ (პოლონეთი)	7	1/2						X					0	1/2	1/2	1/2	1	1/2
ფ. ᲰᲔᲔᲛᲡᲙᲔᲠᲙᲘ (ჰოლანდია)	8								X			1	0	0	0	0	0	*
ლ. ᲕᲝᲚᲞᲔᲠᲢᲘ (სსრ კავშირი)	9									X	1	0	0	1/2	1	0	*	
ტ. ᲖᲐᲢᲣᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ “	10									0	X	1	0	0	*	*		
კ. ᲖᲕᲝᲠᲘᲙᲘᲜᲐ “	11								0	1	0	X	1/2	1	1			
ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ “	12							1	1	1	1	1/2	X	1				
ვ. ᲑᲝᲠᲘᲡᲔᲜᲙᲝ “	13						1/2	1/2	1	1/2	1	0	0	X				
ლ. ᲚᲔᲘᲜᲘ (აშშ)	14					0	1	1/2	1	0	*	0			X			
ა. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲣ (რუმინეთი)	15				1/2	1/2	1/2	1/2	1	1	*					X		
მ. ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘ (იუგოსლავია)	16			1	1	1	1/2	0	1	*							X	
ა. ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲨᲕᲚᲘ (უნგრეთი)	17		1	0	1	1	1	1/2	*									X

შენიშვნა: * — პარტია გადადებულია.

ᲕᲘᲜᲘᲐᲩᲙᲐ-ᲑᲐᲜᲘᲐ

„კოლმეურნის“ ჩემპიონები

სოხუმში, „სპარტაკის“ სპორტულ დარბაზში, დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა აჭარის სპორტსმენთა კოლექტივმა. მეორე ადგილი დაიკავა სამგორის, მესამე — აფხაზეთის სპორტსმენთა კოლექტივმა. წონითი კატეგორიების მიხედვით საზოგადოების ჩემპიონის სახელი მოიპოვეს: მ. ხასაიამ (აფხაზეთი), ბ. შელიამ (სამგორი), თ. ბაკურაძემ, ა. მახარაძემ (ორივე აჭარა), შ. ცანავამ (წყალტუბო), ნ. ძიმისტარაშვილმა, გ. ყაჭეიშვილმა, ა. ბაიშვილმა (სამივე აჭარიდან).

სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა წყალტუბოელმა შ. ცანავამ. დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ვიტებსკში სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებაში.

ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: აჭარის „კოლმეურნის“ მოჭიდავეთა გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

3 რნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). პრეტენდენტთა ტურნირის ბევრი მონაწილე აქ ერთმანეთს პირველად შეხვდა. ამიტომ, ბუნებრივია მათი მისწრაფება—გაეცნონ ერთმანეთს, დამეგობრდნენ. უმრავლესობამ იცის ერთი უცხოური ენა მაინც.

— კარგი პრაქტიკა გვაქვს ენაში, — ეხუმრება ხოლმე შიშოვი გაფრინდაშვილს, რომელიც, როგორც ცნობილია, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტია. გაფრინდაშვილიც არ ჰკარგავს ენაში გაწაფვის ხელსაყრელ მომენტს. იგი ესაუბრება ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდაკეებს ლეინსა და გრესერს. მაგრამ, როცა ყველაფერს რაც სურს ვერ გააგებინებს ხოლმე, მოიშველიებს ყველასათვის გასაგებ, საერთაშორისო ენას — ჟესტიკის ენას.

ტურნირის მონაწილე საბჭოთა ოსტატები და მწვრთნელები ერთი ინტერესით ცხოვრობენ. მათი მჭიდრო მეგობრული კოლექტივი ჭეშმარიტი ამხანაგობის, ურთიერთყურადღების სწორუპოვარი გამოხატულებაა. ზოგჯერ ამ ოჯახშიც ადგილი აქვს კურიოზებს. ერთი ასეთი შეემთხვა ვოლპერტს.

მას გადადებული პარტია ჰქონდა ზვორიკინასთან. ბოლესლავსკი, რომელიც ზვორიკინას მწვრთნელია, შესულა ვოლპერტის ოთახში, დაუხედია მაგიდაზე გაშლილი პოზიციისათვის. „ეს ხომ ზვორიკინას პოზიციაა“ — იფიქრა მან და მიუჯდა მაგიდას, რადგან თავი ზვორიკინას ნომერში ეგონა. ამ დროს შემოსულა ვოლპერტი. დაინახა რა ბოლესლავსკი, ბოდიში მოიხადა. „ალბათ ზვორიკინასთან მოვხვდიო“. ამასობაში ბევრი დრო გავიდა და ვოლპერტმა ვერ მოასწრო გადადებული პოზიციის საფუძვლიანი გარჩევა და... წააგო პარტია. ვოლპერტმა გადაიტანა უსიამოვნო წუთები, ხოლო ბოლესლავსკი, ეს მეტად ჩუმი და უწყინარი ადამიანი, ჯერაც ვერ შერიგებია თავის „დანაშაულს“.

უკანასკნელ საათს!

გუშინ, 6 ნოემბერს შედგა VII ტური, რომელშიც გაფრინდაშვილი შეხვდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ბორისენკოს. ამ პარტიამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის. სიცილიურ დაცვაში საქართველოს ჩემპიონმა გამოიყენა ნაკლებად ცნობილი გაგრძელება და თავიდანვე თამაში წარმართა გაუკვალავი გზით. შუა თამაშში, როცა დაფაზე შეიქმნა გაფრინდაშვილის ხასიათის შემტევი პოზიცია, მან გაბედულად შეწირა პაიკი და მძაფრად დალაშქრა შავი ლაზიერის პოზიცია. მოხერხებულ მომენტში გონებამახვილური კომბინაციით მოიგო ლაზიერი ფიგურასა და ორ პაიკში. ამის შემდეგ ბორისენკოს მეფემ (35-ე სვლაზე) „სული დალია“.

ამრიგად, გაფრინდაშვილმა დაამთავრა შეხვედრები საბჭოთა ოსტატებთან, რომლებთანაც 3,5 ქულა მოაგროვა ოთხიდან.

ზვორიკინამ დაამარცხა ლეინი. ყაიმით დამთავრდა ჰუნდსურენშოდე და სილანის და გრესერ-ნედელკოვიჩის პარტიები. დანარჩენი შეხვედრები არ დამთავრებულა.

VII ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 5,5 ქულა აქვს 6-დან. მის უახლოეს კონკურენტებს ა. კარაკაშნეს და მ. ლაზარევიჩს 4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს — 7-დან.

დღეს, 7 ნოემბერს გაფრინდაშვილი შავებით ეთამაშება აშშ-ს ჩემპიონს — ლეინს.

ჩემპიონთა ცვლა

საქართველოს 1961 წლის პირველობა ფრენბურთში

რესპუბლიკური ჩემპიონატი ფრენბურთში ისე წარიმართა, რომ პირველობის ბედი როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ფინალის უკანასკნელ მატჩებში უნდა გადწყვეტილიყო. ქალთა გუნდებს შორის მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარეს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა. უკანასკნელ ტურში ამ გუნდების ორთაბრძოლას უნდა გაერკვია, ვინ იქნებოდა საქართველოს ჩემპიონი 1961 წელს.

პირველ პარტიაშივე მოედანზე შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთელები ახერხებენ პარტიის მოგებას — 15:8. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები აეწყვნენ და ათანაბრებენ ანგარიშს — 1:1 (15:7). განსაკუთრებით დაძაბული იყო მესამე პარტია. ამაზე ანგარიშიც მეტყველებს — 15:13 უნივერსიტეტელთა სასარგებლოდ. მაგრამ ეს მათი უკანასკნელი წარმატება აღმოჩნდა. ორ დარჩენილ პარტიაში გამარჯვება (15:5; 15:6) და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა. გასული წლის ჩემპიონი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი მე-7 ადგილზე გამოვიდა.

მოედანზე გამოვიდნენ ძველი მეტოქეები — სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების ვაჟთა გუნდები.

მატჩის შედეგი ხუთ პარტიაში გაირკვა, გამარჯვებულნი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელები აღმოჩნდნენ (15:9; 8:15; 16:14; 14:16; 15:11). საქართველოს 1961 წლის ჩემპიონი გახდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

ლ. თუშიშვილი



გ. ცხოვრებოვი

რ. ურუშაძე

ი. ლოსაბერიძე

გ. ნიშნიანიძე

გ. კუბლაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. სარჯველაძე

თ. პეტრიაშვილი

გ. სორდია

გ. ლეჟავა

ჯ. ხატალია

გ. გოგელაური

ზ. მაჭარაშვილი



ო. სირაძე

ა. ავალიანი

გ. მერაბიშვილი

ა. მარგველაშვილი

ქუთაისი — დიდი ფეხბურთის ქალაქი

„სამთა ტურნირი“, რომელიც კოშინოვში შედგა, დღეს უკვე განვლილი ეტაპია. „ა“ კლასის ბატონდენტთა უაღრესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ქუთაისის ტორპედოელთა დიდი გამარჯვებით, რომლებმაც საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრს, მის სპორტის მოყვარულებს ჩამოუტანეს ოვიანთი ვაუკაცური საჩუქარი: სსრ კავშირის უმაღლეს საფეხურთო ლიგაში მონაწილეობის უფლება, დიდი ფეხბურთის მატჩები, ახლის იმედი და კარგი პერსპექტივები.

მაგრამ, ვფიქრობთ, ზედმეტი იქნებ უინტერესო არ იქნება ჩვენს მკითხველებს ერთხელ კიდევ გავიხსენოთ განვლილ ბრძოლათა პერიპეტიები, გავაცნოთ ზოგიერთი დეტალი, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი სულ ახლახან გარდახდილ ასპარეზობას, მით უმეტეს, რომ იგი ჩვენთვის კეთილად დამთავრდა.

ტალინის „კალევი“ თბილისელებმა მაყურებლებმა შარშან იხილეს თავიანთ მინდორზე და პირდაპირ უნდა ითქვას, „ა“ კლასის დებიუტანტები მაშინ საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდნენ (დინამოელებმა ორივე წრეში დაამარცხეს „კალევი“ ანგარიშით 9:2 და 5:2). წელს „კალევი“ ჩვენს ქვეყნეფში არ ეთამაშება, ამიტომ მისი თამაშის სანახავად თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი ვ. რამიშვილი საგანგებოდ გაემგზავრა ლენინგრადს („ზენიტი“-„კალევი“). მწვრთნელმა მაინც ჩამოიტანა ამბავი, რომ „კალევი“, ეს ის ახალბედა დებიუტანტი აღარაა, რომელიც უმწეოდ გამოიყურებოდა მინდორზე. „ა“ კლასში ორი წლის მონაწილეობის შედეგად ტალინის ფეხბურთელებმა გარკვეული გამოცდილება მიიღეს, ბევრი რამ შეიძინეს და თუნდაც ბოლო ადგილი დაიკავეს გათამაშებაში, მათთან ბრძოლა მაინც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

ტალინელებმა საუკეთესოდ დაიწყეს გათამაშება. განვლო ორმა ტურმა და ორივე ჩვენი დელეგაცია — როგორც ქუთაისის, ისე თბილისისა, საკმაოდ უგუნებოდ გამოიყურებოდა: „კალევს“ ჰქონდა 4 ქულა, „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“ — 0.

განსაკუთრებით დასანანი იყო ტორპედოელთა მარცხი. ქუთაისელებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს „კალევთან“ და რომ ცალკეულ ფეხბურთელთა ყოვლად გაუმართლებელი, გაუგებარი და ზედმეტი ნერვიულობა არა, „ტორპედო“ გამარჯვებით დაიწყებდა გათამაშებას. მეორე ტაიმში, ქუთაისელთა ფორვარდებს ფეხი არ მოუცვლიათ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნიდან, აქვე ტრიალებდა ორივე ნახევარმცველი და 45 წუთის განმავლობაში „კალევის“ კარი ნამდვილ ბომბარდირებას განიცდიდა.

არ გაუმართლა პირველ მატჩში „ლოკომოტივსაც“. გუნდი ამ დღეს გამოვიდა მოთამაშეთა ახალი განლაგებით (3+3+4), სადაც ნახევარდაცვას უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა. ამ შეუჩვეველ, რთულ სისტემას რკინიგზელებმა ვერ გაართვეს თავი, სუსტად ითამაშა მეკარემ და „ლოკომოტივმაც“ იგივე დამარცხება ჩაიწერა, როგორც „ტორპედომ“ — 0:2.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა თავიანთი ზედმეტად აგზნებული ნერვები დაიწყნარეს „ლოკომოტივთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ და სრული საბრძოლო განწყობილებით გამოვიდნენ განმეორებით მატჩში „კალევთან“ (ეს უკვე დღისით მოხდა, 16 საათზე).

„ტორპედომ“ შესანიშნავი თამაში აჩვენა ამ დღეს. გუნდი მოქმედებდა ერთსულოვნად, შეწყობილად, ცოცხლად. მოთამაშეთა ტემპერამენტი, სწრაფი დრიბლინგი, დაუცხრომელი ენერგია საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა და თუ მატჩი მოგებული იქნა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით (1:0), ტალინელები ამაზეც მადლობელი უნდა იყვნენ.

ამ თამაშის შემდეგ „ტორპედო“ გაუსწორდა „კალევს“ და ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო „ლოკომოტივის“ შეხვედრაზე ტალინელებთან 3 ნოემბერს. სწორედ ამ გადამწყვეტი მატჩის წინა დღეს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა კორექტივი შეიტანა გათამაშების დებულებაში. წინა რედაქციით ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში პირველი ადგილის ბედი უნდა გადაწყვიტა გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობას. ახლა კი ეს პუნქტი დაკონკრეტებულ იქნა შემდგენაირად: თუ ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნა 3 გუნდს, პირველი ადგილი განისაზღვრება ბურთების სხვაობით, ხოლო თუ 2 გუნდს — დაინიშნება დამატებითი თამაში. ე. ი. „კალევს“ თბილისელებთან გამარჯვების შემთხვევაში შეეძლო მიეღო დამატებითი თამაში „ტორპედოსთან“.

მაგრამ საქმე აქამდე არ მივიდა. „ლოკომოტივი“ იმ შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე, რომლითაც მან სეზონის დიდი ნაწილი ჩაატარა და „კალევი“ დამარცხებულ იქნა — 1:0 (თუმცა ანგარიში აქაც უფრო დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო).

ბოლო ტურში ქუთაისელებმა ერთხელ კიდევ აჩვენეს თავიანთი ცოცხალი, ტემპიანი თამაში, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და ფეხი შედგეს საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს საფეხურზე — „ა“ კლასში.

განა ლაპარაკი უნდა იმას, რომ ეს ქართული ფეხბურთის ნამდვილი დღესასწაულია?! „ა“ კლასში ჩვენ ადრეც გვყოლია ორი გუნდი, მაგრამ ახლა ერთ-ერთი მათგანი ქუთაისს ეკუთვნის და ეს კიდევ უფრო სასიხარულო და სანიშნოა. ქართველმა ფეხბურთელებმა ღირსეულად დაამტკიცეს ის, რომ უმაღლესი ლიგა არა მარტო თბილისის, არამედ რესპუბლიკის უფრო დიდი ტერიტორიის კუთვნილებაა.

ჩვენ დიდი პერსპექტივების წინაშე ვდგავართ. ქუთაისის „ტორპედოს“ სახელოვანმა კოლექტივმა, ქალაქის საფეხბურთო წრეებმა, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ხელმძღვანელობამ, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ, ყველამ, ვისაც უყვარს ეს საქმე, გული შეატკივა მისთვის, მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მატიანეს თბილისის „დინამოს“ გვერდით შემორჩეს მეორე სახელი — ქუთაისის „ტორპედო“.

ქუთაისი ამიერიდან დიდი ფეხბურთის ქალაქად უნდა იქცეს!

გ. ჟორჟია,

კოშინოვი, ტელეფონით.

ჩვენი გულწრფელი მილოცვა

ამ დღეებში, როცა საქართველოს მთელი სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო კოშინოვის ტურნირისადმი, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა ორი გუნდი იბრძოდა „ა“ კლასში გადასვლისათვის, ჩვენს წინაშე თითქოს გაცოცხლდა 1949 წელი, როსტოვი.

მაშინაც ნოემბრის დასაწყისი იყო. თბილისის „სპარტაკის“ ახალგაზრდულმა კოლექტივმა თავგამოდებით იბრძოლა ზონალურ ტურნირში, მოიპოვა „ბ“ კლასში თამაშის უფლება უძლიერესთა სარბიელზე და ნათლად დაამტკიცა, რომ საქართველოს შეუძლია ჰყავდეს ორი საუკეთესო გუნდი უმაღლეს კლასში.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოყვარულებს კვლავ სასიხარულო დღეები აქვთ: ქუთაისის ტორპედოელთა შესანიშნავმა გუნდმა მოიპოვა „ა“ კლასში თამაშის უფლება და ეს უდიდესი წარმატება ქუთაისელ ფეხბურთელთა სავსებით დამსახურებული ჯილდოა.

ქართული ფეხბურთის ამ დიდ წარმატებას განსაკუთრებით განვიცდით ჩვენ, თბილისის „სპარტაკის“ ძველი მოთამაშეები და გულწრფელად მივულოცავთ ქუთაისის „ტორპედოს“ თვითეულ ფეხბურთელს ფართო სპორტულ სარბიელზე გასვლას.

კეთილი გზა, მეგობრებო! თქვენ შეგიძლიათ „ა“ კლასში თამაში. გისურვებთ ამ მძიმე და საპატიო ბრძოლაში ახალ მიღწევებს.

თბილისის „სპარტაკის“ 1949 წლის შემადგენლობა:

ა. პაიჭაძე, რ. ოსაძე, ა. კილაძე, ზ. ქვარიანი, ი. შუდრა, ვ. ლოგმაია, თ. გუგუნავა, მ. გამყრელიძე, გ. იოსელიანი, მ. პირველი, ტ. ეპიტაშვილი, ძმები გაგნიძეები, ძმები ბურჯულაძეები.

სანდრო







მუსიკა ბ. ცაბაძის

ტექსტი შ. ამირანაშვილის

წრთობა გულის და სხეულის
მშვენიერება,
სიჭაბუკე, ხალისი და
ბედნიერება.

სპორტი, გაზაფხულის ეშხი,
მარად უკვდავი დიდება,

გული ჩვენი რწმენით ინთება.
მოვაბიჯებთ მტკიცედ,

გული ლაღად გვიცემს,
და მზე დიდებული მკერდში
ულევ-ძალღონედ იღვრება,
მუხლი ჩვენი

სულ არ იღლება.

ჩვენ გვალაღებს და გვაკაუებს
ჩვენი ქვეყნის სიყვარული,

და ნათელი მომავლის
სიხარული,

მზის ალერსი,
უნეტარესი.

მოვდივართ და ჩვენს სახეზე
ღიმი ელვარებს,

გვჯერა, კიდევ რომ დავიპყრობთ
ახალ მწვერვალებს.

გვხიბლავს ვერცხლისფერი ფილა;
ღამე ვარსკვლავით ნაგები,
ისმის ჩვენი
ძლევის ჰანგები.

გერმანული იუმორი

„მ ს ა ჯ ო, ს ა თ ვ ა ლ ე გ ა ი კ ე თ ე!“

კარგახანია, რაც ის ნეტარი დრო ისტორიას ჩაბარდა, როდესაც მაყურებელი იძახდა: „მსაჯო, სათვალე გაიკეთე!“

ჩინებული, ვაჟკაცური, ენერგიული და ზრდილობიანი მიმართვა მოდიდან გადავარდა და მისი ადგილი გაცილებით ნაკლებად კეთილშობილურმა მიმართვამ დაიკავა.

ჩვენ ისეთ სწრაფმსრბოლ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელშიც ყველა მიჭრის და მოფრინავს. ერთი სიტყვით, ხალხი დროს ულაპავს. ახლა უკვე დრო

იმდენს აღარ ითმენს, რომ მაყურებელმა დაიძახოს: „მსაჯო, სათვალე გაიკეთეო!“ ეს გრძელი ფრაზაა, მეტ დროს ართმევს. ახლა გაცილებით მოკლე ტერმინებია გამოყენებული კრიტიკული გამოთქმისათვის. რაც შეეხება ტექნიკას, იგი ისე სწრაფად ვითარდება, რომ ზოგჯერ ხალხის უკმაყოფილების გამოვლინება უსიტყვოდაც სწარმოებს ხოლმე.

ჰოდა, როგორც მოგახსენებთ, გამოთქმა: „მსაჯო, სათვალე გაიკეთე!“

უკვე დიდიხანია, რაც მოდაში აღარ არის, აი თუნდაც, როგორც ქალის ნაწნავები. ახლა მოგონებადღა დარჩა და რაც დრო გადის, ეს მოგონება უფრო და უფრო სასურველი ხდება. იმ ხანად, როცა ეს გამოთქმა

მოდაში იყო, შეურაცხმყოფელად ითვლებოდა, სარკასტულ სიცილს იწვევდა.

ახლა?

ახლახანს, ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩზე ვიღაცამ წამოიძახა: „მსაჯო, სათვალე გაიკეთეო!“

მსაჯმა მოჰკრა თუ არა ყური ამ ხმას, კმაყოფილებით თვალები აუციმციმდა და გულაჩუყებით ჩაილაპარაკა: მადლი ღმერთს, წესიერი მაყურებელი კიდევ შემორჩენილაო.

12 ნოემბერს, „მ ე დ ჰ ა ტ-ფ ა შ ა ს“ ს ტ ა დ ი ო ნ ზ ე

თურქეთის ნაკრები მოსკოვში დამარცხებას (0:1) ისე შეხვდა, თითქოს დიდი ანგარიშით გაემარჯვოს. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მუხთერე ოზიურთმა თამაშის დამთავრებისთანავე განაცხადა, რომ „მას სტამბოლში რევანშის იმედი აქვს“, ხოლო ნაკრების მწვრთნელმა, იტალიელმა სანდრო პუპომ, კმაყოფილება გამოთქვა, რომ ფეხბურთელებმა თავი გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას.

ამ მოკლე ხანში თურქეთის ნაკრებმა სამი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ როგორც მის შემადგენლობაზე, ისე მოთამაშეთა ფორმაზეც. როგორია ამ შეხვედრების შედეგები? პირველი მათგანი რუმინეთის ნაკრებთან თურქებმა დიდი ანგარიშით (0:4) წააგეს ბუქარესტში. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თურქები თამაშობდნენ ექსპერიმენტული შემადგენლობით (განსაკუთრებით თავდასხმაში) და მათ რამდენიმე პოსტზე მხოლოდ „მოსინჯეს“ ახალგაზრდობა. მომდევნო შეხვედრა სტამბოლში თურქებმა მოიგეს (1:0) სამხრეთ კორეის საკმაოდ სუსტ გუნდთან, ხოლო 29 ოქტომბერს კიდევ ერთი გამარჯვება (2:1) მოიპოვეს საკუთარ მოედანზე ნორვეგიელებთან, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოფიციალურ მატჩში. ნორვეგიელებთან შეხვედრაში თურქებმა უჩვენეს რამდენადმე უკეთესი თამაში, ვიდრე წინა მატჩებში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სანდრო პუპო კინაღამ სასტიკად დაისაჯა იმისათვის, რომ არაფრად აგდებდა მეტოქეებს. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის პირველივე წუთზე ტრავმა მიიღო ნორვეგიელთა მეკარემ (მან მოედანი დასტოვა და მცველით იქნა შეცვლილი), თურქებმა წააგეს პირველი ტაიმი (0:1). თამაშის მეორე ნახევარში ისინი გამუდმებით უტევდნენ და მხოლოდ უკანასკნელ წუთებში მიაღწიეს გამარჯვებას.

ამას წინათ სტამბოლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სანდრო პუპომ განაცხადა, რომ მისი გუნდი საბჭოთა ფეხბურთელების წინააღმდეგ გამოიყენებს სისტემას 1+4+2+4. ეროვნული ნაკრების მეკარე და კაპიტანი თურგაი, თურქული ფეხბურთის ეს აღიარებული „ვარსკვლავი“, შეცვალეს ნეჯიბით, რომელიც, ახალგაზრდობის მიუხედავად, დიდ იმედებს იძლევა. საერთოდ გუნდი მოსკოვის მატჩის შემდეგ შეიცვალა. ნორვეგიელებთან შეხვედრაში არ ითამაშა არცერთმა მცველმა, რომელიც მოსკოვის შეხვედრაში მონაწილეობდა. ახმეტი, ბასრი და შერეფი შეცვალეს ჯანდემირმა (№ 2), ისმაილმა (№ 3) და სუატმა (№ 4). საყურადღებოა, რომ თავის კლუბ „გალატასარაიში“ სუატი დიდი წარმატებით თამაშობს თავდასხმაში და შარშან მოსკოვში „ტორპედოსთან“ ამხანაგურ შეხვედრებში გოლიც კი გაიტანა. მცველი ახმეტი ნორვეგიელებთან მატჩში გამოვიდა 10 ნომრით, თუმცა იგი ფიქტიური თავდამსხმელი იყო და სინამდვილეში დაცვის ფუნქციებს ასრულებდა. ესაა 29 წლის ფეხბურთელი, უკვე 24-ჯერ თამაშობს ეროვნულ ნაკრებში. ნახევარდაცვაში მოსალოდნელია კვლავ ოსმანისა (№ 5) და მუსტაფას (№ 6) თამაში. პირველი 28 წლისაა, მაგრამ მხოლოდ 4-ჯერ უთამაშნია ეროვნულ ნაკრებში. დიდ იმედებს ამყარებენ მუსტაფაზე, რომელიც 23 წლისაა.

თავდასხმაში სანდრო პუპომ აღარ შეიყვანა მისი ვეტერანი ლეფტერი, რომელიც უკვე 36 წლისაა. ესაა თურქეთის ნაკრების ყველაზე უფრო გამოცდილი მოთამაშე. ლეფტერი 43-ჯერ მონაწილეობდა ნაკრების თამაშებში, მაგრამ მიმომხილველთა ცნობით, აშკარად „მოტყდა“, ვეღარ იტანს მკვეთრ, ძალისმიერ თამაშს. 12 ნოემბრის მატჩისათვის ჯერჯერობით უდავოა ორი ფორვარდის კანდიდატურა. ესენი არიან ჯანი (№ 8) და მეტინი (№ 9). 25 წლის ჯანი კომბინაციური მოთამაშეა. მას ჩინებული ტექნიკა აქვს, კარგად „ხედავს“ მოედანს. ამავე დროს ჯანი სახიფათოდ თამაშობს კართან. ცენტრ-ფორვარდი მეტინიც 25 წლისაა. ესაა თურქეთის ყველაზე უფრო პოპულარული მოთამაშე, ენერგიული, მაღალი ტექნიკითა და ძლიერი დარტყმით. თურქი კომენტატორები მას „ოქროს ბუცებში“ დაბადებულს უწოდებენ. აგვისტოდან იგი თამაშობს იტალიის პირველი ლიგის კლუბ „პალერმოში“, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის პირველი ფეხბურთელი „ჩაიძირა“, სრულიად შეუმჩნეველია იტალიაში, სადაც, როგორც ცნობილია, მრავალი პირველხარისხოვანი ოსტატი თამაშობს, სამაგიეროდ, მეტინი შეუცვლელია თურქეთის ნაკრებში, სადაც იგი აღიარებული ლიდერია. ხელშეკრულების თანახმად, „პალერმომ“ მეტინი გაათავისუფლა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ.

სპორტული პრესა ფართო კომენტარს უკეთებს მომავალ მატჩს. როგორც ცნობილია, უკვე მრავალმა გამოჩენილმა სპეციალისტმა დაასახელა ის გუნდები, რომლებმაც ჩილეში თამაშის უფლება უნდა იპოვონ. არცერთ მათგანს ეჭვი ეპარება, რომ საბჭოთა ფეხბურთელები სტამბოლში მოიგებენ ან, უარეს შემთხვევაში, ფრეს მაინც მიაღწევენ და ჩილეში გაემგზავრებიან. სპეციალისტები იქიდან გამოდიან, რომ თურქები არასდროს ითვლებოდნენ მაინცდამაინც მრისხანე მეტოქეებად, თუმცა სტამბოლში ყოველთვის „გაფთრებით იბრძვიან“. მიმომხილველებს ხშირად მოყავთ მაგალითად, რომ 1955 წელს მათ სძლიეს უნგრეთის „დიდ გუნდს“, თუმცა იმდროინდელ ფეხბურთელთაგან, ნაკრებში აღარავინ დარჩა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მომავალი მატჩი თურქეთში არნახულ ინტერესს იწვევს. „მედჰატ-ფაშას“ სტადიონის დირექციამ უკვე კარგა ხანია გაყიდა ყველა ბილეთი, მატჩზე დასასწრებად ჩავლენ ევროპელი სპეციალისტები, რომლებიც ჩვეულებისამებრ, დიდი ხნით ადრე სწავლობენ მსოფლიო ჩემპიონატის ყველა შესაძლებელ ფინალისტს.

სანდრო პუპომ შეასრულა დანაპირების პირველი ნაწილი: ასე თუ ისე, მან მოუგო ნორვეგიელებს. ვნახოთ, შეძლებს თუ არა იგი მეორე მატჩის მოგებასაც, როგორც ეს თურქ გულშემატკივრებს აღუთქვა!

ბ. ბამრეკელი



ნახატი ლ. სიხარულიძისა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლენინი“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-35-09, გამომშვებლის — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05680